

ისლამის მნიშვნელობა პანკისის ხეობაში მცხოვრებ ქისტებში - რელიგიური
იდენტობა და სამოქალაქო აქტივიზმი

ქეთევან სვანაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფიკო ზვიადაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთევან სვანაძე

02/07/2019

აბსტრაქტი

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში პანკისის ხეობა ადგილობრივი და საერთაშორისო მკვლევარების, პოლიტიკოსების და მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა. ამის მთავარი მიზეზი მსოფლიოში განვითარებული მოვლენები, კერძოდ კი რადიკალური ისლამური დაჯგუფებების ჩამოყალიბება და ამ დაჯგუფებებში გაწევრიანების მიზნით მსოფლიოს სხვადასხვა წერტილებთან და მათ შორის პანკისის რეგიონიდან ახალგაზრდების აქტიური გადინება იყო. პანკისის რეგიონისადმი არსებული ყურადღება სამთავრობო, არასამთავრობო თუ მედია აქტორების მხრიდან ძირითადად უსაფრთხოების კონტექსტს არ სცდება და ხშირად შეუსწავლელი რჩება მასში მიმდინარე აქტიური რელიგიური და სოციალური ტრანსფორმაციები.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა პანკისის ხეობის სალაფიტური თემის წარმომადგენელთა რელიგიური გამოცდილებების, მათი რელიგიური და კულტურული იდენტობის შესწავლა, ასევე დადგენა, თუ რამდენადაა დაკავშირებული სალაფიტური ისლამის კონკრეტულად ამ რეგიონში გავრცელებული ფორმა და მასთან დაკავშირებული სწავლებები პანკისის რეგიონში განვითარებულ სამოქალაქო და პოლიტიკურ აქტივიზმთან.

უფრო კონკრეტულად, კვლევამ ამოცანად დაისახა, შეესწავლა: (1) რა როლს ასრულებს რელიგია (ისლამი) პანკისის ხეობის სალაფიტური თემის ყოველდღიურობაში, სოციალური ურთიერთობების ფორმირებაში? (2) ახდენს თუ არა ზეგავლენას მათი რელიგიური იდენტობა მათ პოლიტიკურ და სამოქალაქო აქტივიზმის ფორმირებაზე და როგორ? (3) როგორ აღიქვამენ პანკისის სალაფიტური თემის წარმომადგენლები მოქალაქეობის ცნებას რელიგიური პერსპექტივიდან?

გამომდინარე იქიდან, რომ კვლევის მიზანს პანკისის თემის ცალკეული ინდივიდების გამოცდილებები და ამ გამოცდილებებთან დაკავშირებული აღქმების შესწავლა წარმოადგენდა, გამოყენებულ იქნა თვისებრივი მეთოდოლოგიის ფენომენოლოგიური და ეთნომეთოდოლოგიური დიზაინები.

აღნიშნული კვლევის მიერ დასმული საკითხი აქტუალური და საყურადღებოა, რადგან შესწავლილ იქნა სალაფიტური თემის არამხოლოდ რელიგიური იდენტობა, არამედ მათი სამოქალაქო ცნობიერება და აქტივიზმი, ასევე გამოიკვეთა რელიგიური იდენტობების ჩამოყალიბებაში ცალკეული პროცესების მონაწილეობა და ამ იდენტობის და რელიგიური წარმოდგენების როლი სოციალური კაპიტალის ისეთი ფორმით ჩამოყალიბებაში, რომ ის საფუძვლად დაედო ცალკეული პოლიტიკური და სამოქალაქო აქტივიზმის პროცესს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ისლამი; პანკისი; სამოქალაქო აქტივიზმი; იდენტობა.

Abstract

Over the last few years, the Pankisi Gorge has been the focus of local and international researchers, politicians and media. The main reason for this attention is the developments in the world, namely the formation of radical Islamic groups and the active flow of young people from different points of the world, including the Pankisi region, to join these groups. The Focus of the governmental, non-governmental and media actors towards Pankisi region was mostly limited to the security context and in many cases the ongoing active process of religious and social transformations within the local community remained unstudied.

The research aims to study the religious experiences of the Salafi Muslim community of Pankisi Gorge and their religious and cultural identities, as well as identify how the form of Salafi Islam, spread in this particular region and the teachings of it, are related to the civil and political activism developed in the region.

More specifically, the research aims to establish: (1) what role does religion (Islam) play in the daily life, as well as formation of social relations of the inhabitants of the Pankisi Gorge? (2) Does their religious identity influence the process of shaping the political and civil activism of the local community and in such case how? (3) How do the members of the Pankisi Salafi community perceive the concept of citizenship from the religious perspective?

Taking the objectives of the research into consideration, which is represented in studying the identity formation process of the Kist community of Pankisi region, as well as their experiences and perceptions about this process, qualitative research method was selected for the study. Since one of the main goals of the research is to study the experiences of individuals from the Pankisi community, as well as their perceptions about these lived experiences, the phenomenological and ethnomethodological approaches of the qualitative research methodology were applied.

The issue raised by the research is relevant and important, since it focuses on the process of formation of identities within the youth of Pankisi region and the active social transformations taking place in it. Hence, the goal of the research to study not only the religious identity of the Salafi community of the region, but also the civil consciousness and activism within it, as well as the interconnection of these identities, create an important basis for understanding the ongoing social and political processes in the community from the perspective of the local group and presents the information about how religious identity takes part in forming the social capital in the kind of form which becomes the basis for a political and civil activism.

Key Words: Islam; Identity; Pankisi; Civil Activism.

მადლობა

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის განხორციელება ვერ მოხერხდებოდა ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელის, სოფო ზვიადაძის უდიდესი დამსახურების გარეშე, რომელმაც არამხოლოდ მიხელმძღვანელა კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების თითოეულ ეტაპზე, არამედ გააღვივა ჩემი ინტერესი აღნიშნული საკითხისადმი.

მსურს, მადლიერება გამოვხატო შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულის სამეცნიერო ფონდის მიმართ, რომელმაც შეარჩია აღნიშნული კვლევითი პროექტი მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების კონკურსის ფარგლებში.

დიდ მადლობას ვუხდის პანკისის ხეობის თითოეულ მკვიდრს, რომელმაც გულთბილად მიმიღო საკუთარ სახლში და მონაწილეობა მიიღო აღნიშნულ კვლევაში. მინდა, გასწავთრებული მადლობა გადავუხადო ნაზი დაქიშვილს და შენგელი ტოხოსაშვილს, რომლებიც დაუზარელად მედგნენ გვერდში რესპონდენტებთან დაკავშირების პროცესში.

მადლობას ვუხდის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორს, მარიამ დალაქიშვილს, პროექტის საგრანტო კონკურსისთვის წარდგენის დროს გაწეული დახმარებისა და რჩევებისთვის.

მადლობას ვუხდის ჩემს ოჯახის წევრებსა და მეგობრებს გვერდში დგომისა და მხარდაჭერისთვის.